პრესრელიზი

წიგნის საჯაროდ კითხვის მსოფლიო დღე!

1-6 თებერვალი

იკითხე ხმამაღლა, შეცვალე მსოფლიო! - ამ დევიზით „ევროპული სკოლა“ უერთდება სასარგებლო ინიციატივას და სურს გახდეს მსოფლიო ღონისძიების ნაწილი. წიგნიერების დონის ამაღლების, წიგნის კითხვის წახალისების მიზნით, „ევროპული სკოლაში“ ქართულ და ინგლისურ ენებზე ონლაინ რეჟიმში გაიმართება წიგნის საჯაროდ კითხვის კვირეული.

თქვენ გელით შეხვედრები ცნობილ მწერლებთან, ლიტერატორებთან და სპიკერებთან:

- მწერალი გიორგი კეკელიძე - სერია „თომას ზღაპრები“, წიგნი მეორე „სხვა ცის ქვეშ“;
- ლიტერატურათმცოდნე ლაშა ბაქრაძე - აკაკი ბაქრაძის „ილია ჭავჭავაძე“;
- ლიტერატორი ლევან ბერძენიშვილი -„ოიდიპოს მეფე“;
- The King’s & Queen’s Club-ის სპიკერი დერილ ფერნანდეზი - ართურ კონან დოილის შემოქმედება, მისი ცნობილი პერსონაჟი შერლოკ ჰოლმსი.

✓ „ევროპული სკოლის“ მიერ ორგანიზებული კვირეულის მხარდამჭერები არიან: „წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაცია“, „ეროვნული ბიბლიოთეკა“, „ლიტერატურის მუზეუმი“, გამომცემლობა English Book Education.

➢ წიგნის საჯაროდ კითხვის დღე პოპულარული ღონისძიებაა, რომელსაც ყოველწლიურად 100-ზე მეტ ქვეყანაში აღნიშნავენ. ამ დღეს წიგნის მოყვარულები ხმამაღლა კითხულობენ ლიტერატურულ ნაწარმოებებს.

დაწვრილებითი ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით:
„ევროპული სკოლის“ პიარმენეჯერი ნინო კუსრაშვილი
მობ.:(+995 93) 18 66 71, ელ-ფოსტა: nino.kusrashvili@europeanschool.ge